

2. საქართველოს ეროვნული ბანკი, „ეროვნული ბანკის გაფრთხილება“, 2020; <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3247>;
3. Yang S., “China Escalates Crackdown on Crypto currency Trading”, Bloomberg, 2018; <https://www.bloomberg.com/news/articles/2018-01-15/china-is-said-to-escalate-crackdown-on-cryptocurrency-trading>;
4. Neuman E., “Israel to Tax Bitcoin as an Asset, Not a Currency”, Haaretz, 2018; <https://www.haaretz.com/israel-news/business/israel-to-tax-bitcoin-as-an-asset-not-a-currency-1.5829284>;
5. Gökçe D., “Turkish cryptocurrency Turcoin revealed as ‘Ponzi scheme’”, Hurriyet, 2018; <http://www.hurriyetdailynews.com/turkish-cryptocurrency-turcoin-revealed-as-ponzi-scheme-133458>;
6. www.coinmarketcap.com
7. <https://www.cryptoz.ge/>
8. www.sabanko.com
9. www.win heller.com
10. www.binance.com

ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასების მეთოდების საერთაშორისო პრაქტიკა

International practice of methods for assessing the financial stability of banks

გოჩა აბუთიძე - დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

g.abutidze@gtu.ge

Gocha Abutidze - Doctoral Student

Georgian Technical University

g.abutidze@gtu.ge

აბსტრაქტი. ბოლო გლობალურმა საფინანსო-საბანკო კრიზისმა წარმოაჩინა ბანკების სტაბილურობის შეფასების მიმართ არსებული მიდგომების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა და მათ უფრო ქმედითი და ყოვლისმომცველი ხასიათი შესძინა.

უცხოური ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკაში, ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის ეფექტური საზედამხედველო პროცედურების ბაზისი და წარმოადგენს კონკრეტული კომერციული ბანკებისთვის გამოყენებადი ზედამხედველობის კომპლექსური სისტემის საწყის კომპონენტს.

ცალკეული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული მიდგომები ხასიათდება სულ უფრო მზარდი აქცენტით კომერციული ბანკების მიერ აღებად რისკებზე და მენეჯმენტის ხარისხზე, ასევე მათ საქმიანობაში პრობლემების ადრეული იდენტიფიცირების აუცილებლობაზე. ამასთან, კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის სხვადასხვა კომერციული ბანკისადმი დიფერენცირებული მიდგომის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური სტაბილურობა; საბანკო ზედამხედველობა; შეფასების მეთოდები; რისკების შეფასება; ადრეული რეაგირება.

Abstract. The current global financial and banking crisis testifies to the need to further improve the existing approaches to assessing the stability of banks, making them more effective and global.

In the practice of the supervisory authorities of foreign countries, the assessment of the financial stability of banks serves as the basics for effective supervisory procedures and is the starting component of a comprehensive supervision system as applied to specific commercial banks.

The approaches used to assess the financial stability of individual banks are characterized by an increased emphasis on the risks assumed by commercial banks and the quality of management, as well as on the need of early identification of problems in their activities. In addition, the assessment of the financial stability of commercial banks is the basics for the differentiated application of measures of influence to various commercial banks.

Keywords: financial stability; banking supervision; assessment methods; risk assessment; early reaction.

ეკონომიკურმა გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კომერციული ბანკების საქმიანობა და უცხოური ფილიალების ქსელის შექმნა. ბანკების ფუნქციონირების საზღვრების გაფართოებამ ხელი შეუწყო კაპიტალის მიმოქცევის დაჩქარებას და ბანკთაშორისი კონკურენციის ზრდას.

თანამედროვე ეკონომიკურმა განვითარებამ, ინტეგრაციის პროცესების გაძლიერებამ, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთქმედების უფრო მაღალი ხარისხი, განსაზღვრეს ბანკების განვითარების ახალი დონე, სერიოზულად გაართულეს ბანკების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფინანსური საქმიანობა საერთაშორისო გახდა თავისი არსით და მასშტაბით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება მართლაც რევოლუციური წინგადადგმული ნაბიჯია ბანკების განვითარების საქმეში და მან არამარტო ზემოქმედება მოახდინა ანგარიშსწორების სისტემის გაუმჯობესებაზე, ანგარიშსწორების და გადახდების დაჩქარებაზე, ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლის სისტემის დახვეწაზე, არამედ უზიძგა სრულიად ახალი, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, სტრუქტურირებული საბანკო პროდუქტების დანერგვას.

გლობალურმა ცვლილებებმა ბანკებში გამოიწვია რისკების კონცენტრაცია, კრიზისული ტენდენციების ზრდა და, შესაბამისად, მოითხოვა საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის მიდგომების გადასინჯვა, საბანკო რისკ-მენეჯმენტისადმი ახალი მიდგომების შექმნის სტიმულირება.

ბოლო წლების განმავლობაში კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასების და ფინანსური სტაბილურობის დონის განსაზღვრის საერთაშორისო პრაქტიკამ განიცადა რიგი მნიშვნელოვანი

ცვლილება, რაც განპირობებულია საბანკო საქმის განვითარებაში არსებული მდგომარეობით:

- მსოფლიო და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის არათანაბარმა, არასტაბილურმა განვითარებამ, საბანკო გაკოტრებების მნიშვნელოვანმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა და სოციალურმა გავლენამ მოითხოვა ადრეული რეაგირების სისტემის ადეკვატური სტატისტიკური მოდელების შემუშავება, რომლის მიზანს წარმოადგენს ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე კომერციული ბანკების არასტაბილურობის მიზეზების/კერების გამოვლენა და ეფექტური პრევენციული საზედამხედველო მოქმედებების გატარება.

- გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპის თავისებურებაა საზედამხედველო ორგანოების ცალკეული არაკოორდინირებული ქმედებებიდან საბანკო ზედამხედველობის სისტემის გარდაქმნა კომპლექსურ, კარგად სტრუქტურირებულ სისტემად, რომელიც მოიცავს საზედამხედველო ციკლის ყველა ეტაპს - საზედამხედველო პერიოდის დადგენიდან და პროგრამის შემუშავებიდან საზედამხედველო პროცედურების განხორციელების ეფექტურობის ანალიზამდე და ბანკის სტაბილურობის დონის შეფასებამდე. ყველაზე თვალსაჩინო ფორმით ზედამხედველობის მსგავსი სისტემა 1997-1999 წლებში ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში. ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, არგენტინა), ბანკების სარეიტინგო შეფასების სისტემები (მათ შორის, ბანკების საიმედოობის/სტაბილურობის რეიტინგები), რომლებიც ძირითადად ნასესხებია აშშ-ის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკიდან, წარმოადგენს კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის კომპლექსური სისტემის განუყოფელ ნაწილს.

- დღევანდელ დღეს ზედამხედველების მთავარი ყურადღება ფოკუსირებულია კომერციული ბანკების მიერ აღებულ რისკებზე, მათ დროულ გამოვლენასა და აღმოფხვრაზე. ამ სფეროში გლობალიზაციის პროცესებმა განაპირობა საბანკო ზედამხედველობისადმი არსებული ძირითადი მიდგომების და სისტემების უნიფიცირება, ახალი ელემენტების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც განსაზღვრავს საბანკო მენეჯმენტისა და შიდა კონტროლის ხარისხს. თუმცა, თვისებრივი ფაქტორების შეფასება დისტანციური მონიტორინგის ფარგლებში ხშირად არასაკმარისია. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნების უმეტესობის ცენტრალურმა ბანკებმა ყურადღება გაამახვილეს ადგილზე შემოწმების შედეგებზე და გააფართოვეს პირდაპირი ურთიერთქმედების პრაქტიკა (კომერციული ბანკების ხელმძღვანელებთან შეხვედრების გამართვა, კურატორების დანიშვნა და ა.შ.).

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების კვალდაკვალ, კომერციული ბანკები სერიოზულ პრობლემას

წააწყდნენ: სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო რეგულირება ხორციელდებოდა ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რაც აშკარად არ უწყობდა ხელს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე განვითარებული კრიზისული მოვლენების დაძლევას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ვითარება დღესაც გარკვეულწილად შენარჩუნებულია.

საბანკო ზედამხედველობის სისტემის მნიშვნელოვან მიმართულებად ყალიბდება არა მხოლოდ შიდა (ბანკის ანგარიშგება), არამედ გარე ინფორმაციის (გარე აუდიტორების, სარეიტინგო კომპანიების, სტატისტიკური და საბაზრო მონაცემები, შეხვედრები ბანკის მენეჯმენტთან და ა.შ.) ფართო სპექტრის გამოყენება. კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველი ორგანოების შეფასების ამჟამად გამოყენებულ სისტემებს ქვეყნების მიხედვით გააჩნიათ მნიშვნელოვანი თავისებურებები და განსხვავებები, რაც დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე: დისტანციური ზედამხედველობის სისტემებზე; ადგილზე შემოწმების ჩატარების შესაძლებლობაზე, მათ სიხშირესა და მოცვაზე; ზედამხედველობის ფარგლებში წარმოდგენილი ანგარიშგების სახეებსა და შემადგენლობაზე; ინფორმაციის სხვა წყაროების ხელმისაწვდომობაზე; ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხზე; პერსონალის კვალიფიკაციაზე და ა.შ.

მიმდინარე მიდგომების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგნაირად:

- კომერციული ბანკების სარეიტინგო შეფასების სისტემები (აშშ, იტალია, საფრანგეთი, არგენტინა);
- დისტანციური მონიტორინგის სისტემები - ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება და საბანკო ჯგუფების ანალიზი (საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, აშშ);
- საბანკო რისკების კომპლექსური შეფასება (ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი);
- სტატისტიკური მოდელები - ადრეული რეაგირების სისტემები (აშშ, იტალია, საფრანგეთი).

უცხოურ პრაქტიკაში კომერციული ბანკების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეფასების ყველა გამოყენებული სისტემის მიზნები მსგავსია - ბანკების სტაბილური ოპტიმალური განვითარების უზრუნველყოფა, თუმცა თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი თავისებურებები:

სარეიტინგო სისტემები გამოიყენება კომერციული ბანკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობის შესაფასებლად, მის საქმიანობაში არსებული პრობლემებისა და რისკების დასადგენად. კომერციული ბანკების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე რეიტინგის მინიჭების შედეგად მიღებული დასკვნები გამოიყენება საზედამხედველო რეაგირების ზომების დასადგენად.

შეფასების საფუძველია კომერციული ბანკების ანგარიშგება და შემოწმების მონაცემები.

დისტანციური მონიტორინგის სისტემები გამოიყენება კომერციული ბანკების საქმიანობაში ცვლილებების დასადგენად. ისინი ემყარება კონკრეტული ბანკის საქმიანობის პროგრამულ გაანგარიშებასა და რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარებას ბანკების შესაბამისი ჯგუფების ანალოგიურ მაჩვენებლებსა და განვითარების ტენდენციებთან. ამასთან, იდენტურ ეკონომიკურ და საკანონმდებლო გარემოში საქმიანობისას, ჯგუფის ერთ-ერთი ბანკის მაჩვენებლების გაუარესება მიუთითებს მის საქმიანობაში შიდა პრობლემების არსებობაზე, რაც საშუალებას იძლევა ყურადღება გამახვილდეს მათ გადაწყვეტაზე.

რისკების შეფასების კომპლექსური სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საზედამხედველო ორგანოების მიერ ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების და მისი შესრულების შემდგომი მონიტორინგის საფუძველზე ძირითადი ყურადღება ეთმობა კონკრეტული ბანკების საქმიანობის რისკების ანალიზს და მათი მართვის სისტემებს. იგი ორგანულად მოიცავს კომერციულ ბანკთან მუშაობის ყველა სტადიას (რისკის შეფასების ანალიტიკური ეტაპი, საზედამხედველო პროგრამების ფარგლებში რეაგირების ზომების განსაზღვრა, საზედამხედველო ზომების გამოყენების ეფექტურობის შეფასება, ზედამხედველების მიერ შემდგომი ქმედებების კორექტირება). კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტურად შემუშავდეს კონკრეტული ბანკების მიმართ გამოყენებადი საზედამხედველო პოლიტიკა.

ადრეული რეაგირების სისტემები საშუალებას იძლევა, სტატისტიკური და მათემატიკური გამოთვლების ფართო სპექტრის საფუძველზე განხორციელდეს კომერციული ბანკების მომავალი მდგომარეობის პროგნოზირება და გამოვლინდეს მათ საქმიანობაში შესაძლო პრობლემები და რისკები.

ბოლო გლობალურმა საფინანსო-საბანკო კრიზისმა წარმოაჩინა ბანკების სტაბილურობის შეფასების მიმართ არსებული მიდგომების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა და მათ უფრო ქმედითი და ყოვლისმომცველი ხასიათი შესძინა. მიზანშეწონილია, ადრეული რეაგირების სისტემები შეივსოს საბაზრო და მაკროეკონომიკური ინდიკატორებით, რაც შესაძლებელს გახდის მეტი სიზუსტით შეფასდეს კომერციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედი გარე ფაქტორები. გარდა ამისა, გრძელდება მათემატიკური მოდელირებისა და ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავება (ბანკის მომავალი განვითარების ერთდროულად რამდენიმე -

პოზიტიურიდან ნეგატიურამდე - სცენარის ტესტირება და სავარაუდო გაკოტრების კონკრეტული პერიოდის გამოთვლა).

თუ გავანალიზებთ საზედამხედველო სისტემების გავლენას კომერციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე ქვეყნების მიხედვით არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები დაკავშირებულია როგორც ამ ქვეყნების საბანკო სისტემების განვითარების ისტორიულ და სტრუქტურულ თავისებურებებთან და საკანონმდებლო მოწყობასთან, ისე სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებთან. ზოგი მათგანი დისტანციური ზედამხედველობის საფუძველზე არსებობს (PATROL, ORAP, BAKIS), ნაწილი კი კომერციულ ბანკებში შემოწმებას (აშშ-ს სარეიტინგო სისტემები) ეყრდნობა. ზედამხედველობის ფარგლებში შესწავლილი და გამოყენებული ინფორმაციის სპექტრი განსხვავებულია - აშშ-ს საზედამხედველო ორგანოები, პირველ რიგში, იყენებენ კომერციული ბანკების ანგარიშგებას, ხოლო სხვა ქვეყნებში ასეთი ინფორმაციის სპექტრი გაფართოვებულია გარე წყაროების ხარჯზე. უცხოეთის ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების მიდგომები საბოლოო რეიტინგის გამჟღავნების ხარისხთან მიმართებაშიც განსხვავებულია - რიგ ქვეყნებში ისინი ოფიციალურად ქვეყნდება, სხვებში კი მხოლოდ ბანკის ხელმძღვანელობასთან განიხილება.

უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში ზედამხედველი ორგანოების მიერ ერთდროულად გამოიყენება კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასების რამდენიმე სისტემა. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ შეფასების სისტემის ასეთი მოწყობა საშუალებას იძლევა მუდმივი მონიტორინგი დაუწყესდეს კომერციული ბანკის საქმიანობას, შეირჩეს ყველაზე ეფექტური საზედამხედველო ბერკეტები მის საქმიანობაში არსებულ პრობლემებზე ზემოქმედების მიზნით. გამოიყენება/მუშავდება ადრეული რეაგირების სისტემები, რომლებიც კომბინირებულია ან სარეიტინგო სისტემებთან, ან დისტანციური მონიტორინგის სისტემებთან. ბანკების ზედამხედველობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს მისი სისტემური, მუდმივი ხასიათი.

ცალკეული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული მიდგომები ხასიათდება სულ უფრო მზარდი აქცენტით კომერციული ბანკების მიერ აღებად რისკებზე და მენეჯმენტის ხარისხზე, ასევე მათ საქმიანობაში პრობლემების ადრეული იდენტიფიცირების აუცილებლობაზე. ამასთან, კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის სხვადასხვა კომერციული ბანკისადმი ზემოქმედების ზომების დიფერენცირებულად გამოყენების საფუძველი.

უცხოური ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკაში, ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასება არის ეფექტური

საზედამხედველო პროცედურების ბაზისი და წარმოდგენს კონკრეტული კომერციული ბანკებისთვის გამოყენებადი ზედამხედველობის კომპლექსური სისტემის საწყის კომპონენტს. ასევე, უარყოფითი სოციალური შედეგების თავიდან ასაცილებლად, აქცენტი კეთდება არა იძულებითი, არამედ პროფილაქტიკური ზემოქმედების ზომებზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად იზრდება ობიექტურობისა და სანდოობის მნიშვნელობა, რაც გულისხმობს შეფასების მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების მუდმივ გაუმჯობესებას, ბანკების საქმიანობის გარე პირობების ცვლილებების, საბანკო ბიზნესის წარმართვის მეთოდების გართულების და საბანკო ოპერაციების და მომსახურების სპექტრის გაფართოების გამო. ამ სისტემების ელემენტები, საქართველოს სპეციფიკის და ბოლო ფინანსური კრიზისის გავლენის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს ორიენტირი საქართველოში კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგისა და უზრუნველყოფისთვის ეფექტური მიდგომების შესამუშავებლად.

ლიტერატურა

1. Abu Hanifa Md. Noman, Chan Sok Gee, Che Ruhana Isa. Does bank regulation matter on the relationship between competition and financial stability? Evidence from Southeast Asian countries // Pacific-Basin Finance Journal, №48, 2018.
2. Elements of Effective Macroprudential Policies – Lessons from International Experience. International Monetary Fund, Financial Stability Board, Bank for International Settlements, 2016.
3. Franco Fiordelisi, Davide Salvatore Mare. Competition and financial stability in European cooperative banks // Journal of International Money and Finance, №45, 2014.
4. Refinitiv Podcast. [The role of banks in Sustainable Finance & Crisis Mitigation & addressing the fossil fuel challenge](#). Accessed October 26, 2020.
5. Sahajwala R., Bergh, P.v.d. Supervisory Risk Assessment and Early Warning Systems. Bank for International Settlements, Working Paper. December, 2000.
6. Xavier Vives. Competition and stability in modern banking: a post-crisis perspective // International Journal of Industrial Organization. 2019.
7. Уразова С. А. Устойчивость банковской системы: сущность и механизмы воздействия. «Деньги и кредит», №8, 2007.